დანართი №2

შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია“
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფარმაცია“ (სააფთიაქო)
დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თინათინი მეფარიშვილი

წევრები:

ლონდა მინდიაშვილი
ნანა ვერულაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია“

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 406056173

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ვიზიტი.

შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში“ ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის (შემდეგში „ცენტრი“) დირექტორის 2024 წლის 06 ივნისის ბრძანების #MES 724 0000632168 საფუძველზე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან დაწესებულების პირობების შესაბამისობის შეფასება. პსდ-ში ვიზიტი განახორციელდა 2024 წლის 26 მარტს, ექსპერტთა შემდეგი შემადგენლობით: თინათინ მეფარიშვილი - პროფესიული საგანმანთლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის - ექსპერტი (თავმჯდომარე) დანანა ვერულაშვილი- დარგის ექსპერტი (წევრი).

ვიზიტამდე, ექსპერტების მიერ, წინასწარ იქნა შესწავლილი დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია და პსდ-ს ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, რის საფუძველზეც შედგა დღის წესრიგი, დაიგეგმა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პარტნიორ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. გავესაუბრეთ პროგრამის ხელმძღვანელს და განმახორციელებელ მასწავლებლებს. მოხდა პროგრამებთან დაკავშირებული მატერიალური რესურსის დათვალიერება და მათი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესწავლა, ასევე ბიბლიოთეკის ფონდის დათვალიერება და გასაუბრება ბიბლიოთეკართან. შემოწმდა დღის წესრიგით გაწერილი ყველა კომპონენტი.

დღის ბოლოს ჯგუფმა შეაჯამა ვიზიტის პერიოდში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები, რომლებიც გააცნო კოლეჯის ადმინისტრაციას და ყველა დაინტერესებულ პირს (თანამშრომლებს).

ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ, მშვიდ და კეთილგანწყობილ ვითარებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ხარვეზი** (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

ვიზიტის პერიოდში ხარვეზები არ გამოვლენილა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ის რეკომენდაცია,** რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ის რეკომენდაცია,** რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

განმავიტარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის არგუმენტირებულ პოზიციაში გადმოცემულია რომ, კოლეჯი ეთანხმება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს. შესაბამისად დასკვნის პროექტში ცვლილებები არ განხორციელებულა.

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	14.05.2024 წლის რექტორის ბრძანება N2/54
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. საჩხერე. გომართელის N50 ა/52.
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას“ შემუშავებული აქვს პროცედურა პროგრამის განხორციელების დასაბუთებაზე„ შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა, განვითარების, შეცვლის და გაუქმების შესახებ (რექტორის ბრძანება N2/51. ქ. თბილისი. 30.04.2024წ. „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის წესების დამტკიცების შესახებ.|), სადაც გამოკვეთილია პროგრამის საჭიროება იმერეთის რეგიონში. პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რაც მოიცავს ბაზრის კვლევას, შეხვედრების ორგანიზებას პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, პსდ-ს რესურსების ანალიზს, კონსულტაციებს ადმინისტრაციასთან. პროგრამა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ განვითარებასთან, რომელიც გულისხმობს პროგრამების დამატების მიზანშეწონილობის დადგენას. მიზანშეწონილობის არგუმენტი მისაღებია თუ:

- არსებობს მოთხოვნა ან პროგნოზირებულია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე, რაც დასტურდება კვლევებით ან დამსაქმებლების ინიციატივებით;
- პსდ აფართოებს მომსახურების/პროგრამების სპექტრს პროფილური მიმართულებით;
- პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარები იძლევა თვითდასაქმების/პიროვნული განვითარების/პიროვენბის სოციალურ ინტეგრაციის შესაძლებლობას.

იმერეთის რეგიონში აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს მხოლოდ ერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის კურსდამთავრებულთა რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს დასავლეთ საქართველოს ფარმაცევტულ დაწესებულებათა მოთხოვნას კადრის შესახებ, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ იმერეთის რეგიონში:

1. 8 აფთიაქი---ჯიპისი GPS;
2. 42 აფთიაქი---- PSP;
3. 27აფთიაქი-----ფარმადეპო (FARMADEPO) ;
4. 23 აფთიაქი----- იმპექსი(IMPEX) ;
5. 78 არაბრენდული აფთიაქია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად შეგვიძლია დანამდვილებით ითქვას, რომ იმერეთის მხარეში პროფესიული განათლების მქონე სპეციალისტების ნაკლებობაა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ შემუშავებულია აღნიშნული მეთოდოლოგიის დაცვით, რასაც მოწმობს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების დოკუმენტაცია. საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. საქართველოში ჯანდაცვის მიმართულება პრიორიტეტულია, რაც პროფესიას ხდის შრომის ბაზარზე ერთ-ერთ მოთხოვნად და დასაქმებად მიმართულებად. ასევე მნიშვნელოვანია ეროვნულ ბაზარზე, არსებული ფარმაცევტული კომპანიების „შპს ფარმა-ავერსისა, “ჯი პი სის“, „ფარმადეპოს“, „პსპ-ს“ და „იმპექსის““-ის ინიციატივები პროფესიული კადრის მიწოდება/დასაქმების შესახებ. კურსდამთავრებულთა უმეტესობა დასაქმდება შპს „პსპ აფთიაქი“-ს, შპს „ავერსი ფარმას“, შპს „გეფასა“ და შპს „ჯი პი სი“-ს სააფთიაქო ქსელებში.

<u>პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.</u>

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების დაშვების წინაპირობების და სტატუსის მოპოვება რეგულირდება პსდ-ს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (რექტორის ბრძანება N2/51. ქ. თბილისი. 30.04.2024წ. „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის წესების დამტკიცების შესახებ.|), პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათალება, რაც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტის (09110-პ) მოთხოვნასთან. პროგრამაზე განსაზღვრულია ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; რაც დასტურდება პსდ-ს დოკუმენტაცით.

საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

1. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით** პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

რომელიც ითვალისწინებს: პროგრამის/მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A, B, C) გარემოს და სამუშაო ადგილებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას, საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსს, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას.

„ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა იქნება 60. კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის აქვს ერთი AC1 და ერთი B და ერთი AC2 გარემო. სასწავლო გარემოს მოდელი AC (2 გარემო):

1. **AC1 სააფთიაქო--ბიოლოგიური—ლაბორატორია**- განკუთვნილია 30+1 პროფესიული სტუდენტისათვის და პედაგოგისთვის. .
2. **AC2 ქიმიურ- ტექნოლოგიურ-ბიოლოგიური ლაბორატორია**- განკუთვნილია 30 +1 პროფესიული სტუდენტისათვის და პედაგოგისთვის..
3. **B - გარემო** - განკუთვნილია 30+ 1 პროფესიული სტუდენტისათვის და პედაგოგისთვის.

პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას“ გაფორმებული აქვს მემორანდუმი შპს „პსპ ფარმასთან“ (მემორანდუმი N2024/01 „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესახებ“.10 მაისი 2024წ.) 60 პროფესიული სტუდენტის მომსახურებაზე. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტიორი ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელმაც დაადასტურა, რომ მიიღებდნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტუდენტების რაოდენობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

3. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. საგნმანათლებლო პროგრამაში მითითებული მატერიალური და სასწავლო რესურსი შესაბამისია მოდულების სწავლის შედეგების და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.
5. საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის, რექტორის მიერ, 2024 წლის 14 მაისის N 2/54 ბრძანებით
6. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ანალოგიურია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რექტორის მიერ დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდების, აქედან გამომდინარე, შესაბამისია პროგრამის შინაარსის და არ არის შეცდომაში შემყვანი.

7. ***პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა*** „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ***შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.*** შემუშავების საფუძველია ფარმაცია სააფთიაქოს ჩარჩო დოკუმენტი (09110-პ). დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პიროებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 2 წელი და 6 თვე), ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისთვის. დაწესებულების მიერ, წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, დისტანციური სწავლების მიდგომები, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამა ითვალისწინებს ქართული ენის მოდულების (A2; B1) სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად, პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 120 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა – 21 სასწავლო თვე, 84 სასწავლო კვირა), ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 150 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა - 26 სასწავლო თვე, 104 სასწავლო კვირა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტების წინაპირობები და გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის გონივრული ვადა. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1.. „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის წესების დამტკიცების შესახებ. (რექტორის ბრძანება N2/51. ქ. თბილისი. 30.04.2024წ.

2. შპს ,,შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლისა და გაუქმების წესი“;

3. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია . ამონაწერი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების

მეთოდოლოგიიდან; მუხლი 5. პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;

4. შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N2/54 14.05.2024. ქ. თბილისი. "შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიებიოს

აკადემიის ქ. საჩხერის ლოკაციაზე განხორციელების მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“-ს

დამტკიცების შესახებ.

5.პსდ-ს მისია და სტრატეგიული გეგმა

5.დაწესებულების წესდება;

6.შპს ,,შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათები, მიზანშეწონილობის დასაბუთების შესახებ.

7, „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის წესების დამტკიცების შესახებ.“ (რექტორის ბრძანება N2/51. ქ. თბილისი. 30.04.2024წ).

8. დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ მასწავლებლებთა, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

2. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
3. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
4. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
5. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
2. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
3. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
4. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. <u>პროგრამით „ფარმაცია (საფთიაქო)“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ თეორიულ კომპონენტს ახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ. საჩხერე, ივ. გომართელის ქ. № 50ა/52, სადაც პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები:

-B გარემო/კომპიუტერული კლასი - აუდიტორია 30+1 სამუშაო ადგილით სკამით და მაგიდით.. აუდიტორია აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი). ექსპერტების მიერ გადამოწმდა B გარემოს გამტარუნარიანობა, გამომდინარე იქედან, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია (სააფთიაქო), რომელიც საჭიროებს პროგრამული უზრუნველყოფის შესწავლას, ხორციელდება დარგობრივ კაბინეტში. B გარემო, არსებული აღჭურვილობით, გამტარუნარიანია ყველა სხვა საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციული წიგნიერების“ მოდულის განხორციელებისთვის.

- AC 1. **გარემო** - ***ქიმიურ-სააფთიაქო-ტექნოლოგიურ-ბიოლოგიური ბლოკი*** - განკუთვნილია 30+1 პროფესიული სტუდენტისათვის. C გარემოში განთავსებულია: სველი წერტილი, სამუშაო ქიმიური მაგიდები, ლაბორატორიული სკამები, გამწოვი კარადა, კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადა რეაქტივებისათვის, მაშრობი კარადა, მაცივარი, შტატივები, სითხოვანი წამალთფორმების დასაფასოებელი ჭურჭელი თავსახურებით, წყლის აბაზანა, სამკურნალო მცენარეული ნედლეულის წყლის შთანთქმის კოეფიციენტების ცხრილები, ალკოჰოლომეტრული ცხრილები, ხსნარის მოცულობითი ზრდის კოეფიციენტების ცხრილები,მილესილსაცობიანი კოლბები, გრადუირებული გამზომი ცილინდრები (10, 50, 100, 500 მლ), მინის კოლბები, შტანგლასები, წყლის აბაზანა, თერმომეტრების ნაკრები, სასწორები (ხელის), საწონების კომპლექტი, სპირტქურები, როდინები, არეომეტრები, ნორმატიულ–ტექნიკური დოკუმენტაცია მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადების წესებთან დაკავშირებით, მიკროსკოპები, ლუპა და სხვა.

-AC **გარემო** - ***სააფთიაქო-ბიოლოგიური ლაბორატორია*** - განკუთვნილია 30+1 პროფესიული სტუდენტისათვის. C გარემოში განთავსებულია: მაგიდები, სკამები, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, კომპიუტერით (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის), სასწავლო პლაკატებით, სიმულაციური აფთიაქი (პრეპარატები, ბავშვთა კვება, დეკორატიული კოსმეტიკა, ავადმყოფის მოვლის საგნები), შესაბამისი აღჭურვილობით.

ექსპერტების მიერ მოხდა სამივე AC გარემოში განთავსებული მატერიალური რესურსის დათვალიერება. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით, გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „პსპ ფარმასთან“, პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებლი მოდულების ჩამონათვალი, პრაქტიკის მოცულობის შესახებ ინფორმაცია.

დაწესებულების მიერ *პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 60 პროფესიულ სტუდენტს.* საგანმანათლებლო პროგრამის 26 მოდულიდან, სასწავლო გეგმით 8 მოდული ხორციელდება პრაქტკის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებაში, შპს „პსპ ფარმა“-ში, რომელიც უზრუნველყოფს ყოველწლიურად 60 სტუდენტის მიღებასა და პრაქტიკული კომპონენტის გატარებას.

სასწავლო გეგმით პრაქტიკის დაწესებულებაში 8 მოდული ხორციელდება

1. „მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება“,

2. „პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი“,

3. „სანიტარიულ - ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“

4. „მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში“,

5. „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა“,

6. „მომხმარებლისათვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების

შერჩევა“;

7. „მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა“,

8. „მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის საგნების/საშუალებების შერჩევა“ .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულის განმახორციელებლები არიან დარგის მომუშავე სპეციალისტები, რომელთაც გავლილი აქვთ ტრენინგები პროგრამის თავისებურებების და შეფასების სისტემის გათვალისწინებით.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ობიექტი თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროგრამის პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 31 პირი, მათ შორის 12 ზოგადი მოდულების განმახორციელებლი, ხოლო დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი - 19. (დანართი 4. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია სააფთიაქოს“კონტინგენტის განსაზღვრა. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ).

2. ვიზიტის დროს შემოწმებული იქნა პერსონალის დატვირთვის ფურცლები. წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შემოწმდა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში, ექპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს. ყველა მათგანი არის კვალიფიციური და გამოცდილი, პროფესიული განათლების მასწავლებლები იცნობენ პროგრამას, მონაწილეობას იღებენ მოდულების ადაპტირებაში, აქვთ ინფორმაცია მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში. გავლილი აქვთ კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, (შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის სწავლებით.

<u>საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე (ორი) ხელმძღვანელი,</u> რაც დასტურდება, როგორც მათი პირადი საქმით, ისე გასაუბრებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროგრამის ხელმძღვანელი შესაბამისი დარგობრივი განათლების მქონე პირი, დარგის ექსპერტი. აქვს დარგობრივი საქმიანობისა მრავალწლიანი გამოცდილება, რაც დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება პირის შესაბამისობა საკანონმდებლო, დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებსა და დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებთან შესაბამისობა, რომელიც გაწერილია შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის პრძანებით 2/139.08.09.2023წ. საქმიანობისთვის საჭირო რეგულაციების დამტკიცების შესახებ“ და ინფორმაცია „საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ“ (დანართი N2).

პროგრამის ხელმძღვანელი ჩართული იქნება როგორც კონკრეტული მოდულების განხორციელების, ისე პროგრამის ადმინისიტრირების პროცესებში, შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ფარგლებში, პერიოდულად დაესწრება მეცადინეობებს, კომპეტენციის ფარგლებსა და ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დაცვით, ჩაერთვება შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესებში. იზრუნებს პროგრამისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარებაზე.

4. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი (ბეჭდური და ელექტრონული) განთავსებულია ბიბლიოთეკაში. დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის ყველა კომპიუტერში, ასევე დარგობრივი კაბინეტების კომპიუტერებში. დაწესებუელბის ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია საბიბლიოთეკო საძიებო სისტემა ,,Openbiblio” სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ვებ-გვერდზე განთავსებულია ელექტრონული რესურსები პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია, ნაწილობრივ ელექტრონულად, ასევე მატერიალური სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები, რომლებიც მატერიალური სახით ინახება ბიბლიოთეკაში, მათი უმრავლესობა გადატანილია ელექტრონულ მატარებლებზე. პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ საგანმანათლებლო რესურსები - ნორმატიული აქტების კონსოლიდირებული ვერსიები ხელმისაწვდომია პროგრამის ხელმძღვანელისთვის და პერსონალისთვის პირადი ავტორიზებული მომხმარებლების სახით სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (www.matsne.gov.ge) საკანონმდებლო აქტების საძიებო სისტემაში და საჭიროების შემთხვევაში ისინი ახდენენ განმახორციელებელი პირების ინფორმირებას განხორციელებული ცვლილებების შესახებ. ასევე ბიბლიოთეკაში გამოკრულია „ბიბლიოთეკაში მუშაობის წესი“.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

5. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

პსდ უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის კოლეჯის ინფრსატრუქტურის და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. პსდ-ს შიდა რეგულაციით იდენტიფიცირებული აქვს სხვადასხვა შეზღუდვების/საჭიროებებიდან გამომდინარე ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მექანიზმები, როგორიცაა ტექნიკის/პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, სასწავლო რესურსების ადაპტირება (შინაარსობრივი, ვიზუალური), დამატებითი მომსახურების მიწოდება (სპეციალისტების ჩართვა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავება და სხვა (32-ე მუხლი „ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“ 51-ე მუხლი.“სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) და შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვის წესი“). ამავე რეგულაციითაა განსაზღვრული ისგ-ს შედგენის პროცედურა. წესი ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის/სსსმპ/შშპ ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

დაწესებულებაში არსებული გარემო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ფარმაცია (სააფთიაქო), ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლება ფინანსდება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ფინანსურად მდგრადია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტის მაჩვენებლების მიხედვით. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები. ხარჯვითი ნაწილი მოიაზრებს: ადმინისტრაციის და პროფესიული მასწავლებლების ხელფასის ხარჯს, პროფესიული მასწავლებლებისა განვითარების, კომუნალური გადასახადების ხარჯს, მასალებისა და ნედლეულის და სხვა ხარჯს. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება. პროგრამის განხორციელების ხარჯები ნაწილდება შემდეგ კომპონენტებზე: მასწავლებლის და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, პრაქტიკის განხორციელების ხარჯი, სასწავლო მასალები და კომუნალური ხარჯები, რეკლამისა და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები. პროგრამის რენტაბელობის ზღვარია 20 პროფესიული სტუდენტი. პროგრამისა და პსდ-ს ბიუჯეტის ანალიზი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის პრძანება N 2/139. 08.09.2023წ. საქმიანობისთვის საჭირო რეგულაციების დამტკიცების შესახებ“
2. შპს ,,შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ თანდართული დოკუმენტაციით
3. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
4. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ. (დანართი 2).
5. „ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“ 32-ე მუხლი
6. „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსმ) და შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვის წესი“ 51-ე მუხლი.
7. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები

7. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ (დანართი 2);

8. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
9. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება და შეთანხმებები (დანართი36).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

10. დანართი სასწავლო გეგმა .11.
11. „საკანონმდებლო მაცნესთან“ გაფორმებული ხელშეკრულება
12. ვიზუალური დათვალიერებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, პროცესების კონტროლს, რაც დაფუძნებულია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ მოდელზე. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები პსდ-ს ჩამოყალიბებული აქვს რეგულაციის სახით რომლის მე-3 მუხლით განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმები. ამავე დოკუმენტით გაწერილია იმ პირთა და პროცესების წრე, რომელთა კვლევის შედეგადაც ხდება შეფასება. აკადემიაში ხარისხის მართვის სისტემის პრინციპების მართვა ხორციელდება ISO 9001-2015 -ის მოთხოვნებისა და შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად. და მისიო შენარჩუნება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხდება ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შიდა აუდიტის ჩატარებითა და ხელმძღვანელობის მხრიდან არსებული მდგომარეობის გაანალიზებით ან/და უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის მიერ შესაბაქმისი პროცესების შეფასების შედეგებით.

შეფასების მექანიზმი დამყარებულია კვლევის მეთოდებზე, ინსტრუმენტებზე, სამიზნე ჯგუფებზე, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესებზე. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ძირითადად ორიენტირებულია დაინტერესებული მხარეების კვლევით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვლევების განხორციელების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო და სხვადასხვა სახის კითხვარები, რომელთა გამოყენებით ატარებს დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტები, ადმინსტრციული პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პრაქტიკის ობიექტის, დამსაქმებლების) გამოკითხვას საგანმათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის რესურსების, მათ შორის, დაწესებულების, საკმარისობისა და ეფექტიანობასთან მიმართებით. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ასევე გამოკითხვის პერიოდულობა/სიხშირე - პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა განხორციელდება წელიწადში ორჯერ; პროგრამის ხელმძღვანელების, მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლების კვლევა - წელიწადში ორჯერ
(კმაყოფილების კვლევა და საჭიროების კვლევა).; კურსდამთავრებულთა დასაქმებლის მაჩვენებლის კვლევა - სწავლის დასრულებიდნ 1 წლის შემდეგ; კითხვარების ანალიზის საფუძველზე, გამოვლენილი საჭიროებების/ინიციატივების შემთხვევაში, დაწესებულება დაგეგმავს შესაბამის რეაგირების ღონისძიებებს. კვლევის შედგები/ანგარიშები საჯაროა, გამოქვეყნებულია დაწესებულების ვებგვერდზე.

ხარისხის მექანიზმების თანხმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით, დაწესებულების რექტორის ბრძანების საფუძველზე, იქმნება შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დაწესებულების ადმინისტრაციის სხვა წამომადგენელი/წარმომადგენლები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. შიდა მხარდაჭერის ჯგუფს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. ჯგუფი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელსაც ამტკიცებს აკადემიის რექტორი. გეგმა ითვალისწინებს: სასწავლო პროცესზე დასწრებას, დაკვირვების კითხვარების შეგროვება-ანალიზს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ განხორციელებული აქტივობები ფორმდება სხდომის ოქმით, მოხსენებითი ბარათებით.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ შიდა მხარდაჭერის ჯგუფის აქტივობები პრაქტიკაში ხორციელდება, ჯგუფის წევრები აგროვებენ ინფორმაციას და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რომლის საფუძველზე, პროგრამის განხორციელების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი განახორციელებს მის უფლებამოსილების ფარგლებში ცვლილებებს ან უზრუნველყოფს განათლების ხარისიხს ეროვნული ცენტრის ინფორმირებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პსდ-ს პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

გამოკითხვის/კვლევების ანალიზის და გამოკვეთილი რეკომენდაციების საფუძველზე, მისი შინაარსიდან გამომდინარე, პროგრამაში ცვლილების განხორციელებისათვის შესაძლებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება პროგრამის შემუშვების ეტაპების ანალოგიურად. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებას ამტკიცებს კოლეჯის რექტორი, რისთვისაც გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. „.საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმები. „ მუხლი მე-3.
2. პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი მუხლი 35. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების სისტემა

   მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება, შეცვლა და გაუქმება.

3. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“.

4. ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

5. ინტერვიუს შედეგები ბიბლიოთეკართან.

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით.

   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პსდ-ს მოთხოვნების თანახმად შემუშავებული აქვს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. გეგმა გაწერილია 2,5 აკადემიურ წელზე - არა ქართულენოვანი კონტიგენტისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 21 სასწავლო თვე, 84 სასწავლო კვირა, ხოლო არა ქართულენოვანი კონტიგენტისთვის 26 სასწავლო თვე, 104 სასწავლო კვირა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამით კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები. წინაპირობების არსებობის შემთხვევაში დაცულია განმეორებითი დადასტურებისთვის გონივრული ვადები.

ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, პროგრამის ხანგრძლივობა და საათობრივი გადანაწილება.

2. პსდ-ში არსებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების მექანიზმები იძლევა შესაძლებლობას პროფესიული სტუდენტები უზრუნველყოფილი იყვნენ მათ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო მომსახურებით.

პსდ-ს მიერ, პარტნიორ კოლეჯებთან ერთობლივად, იდენტიფიცირდა პროგრამის/სწავლის შედეგების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობა და დაემატა სწავლების დისტანციური მეთოდი, ელექტრონული სასწავლო რესურსი). დისტანციური სწავლების შუფერხებლად განხორციელების მიზნით შეძენილი იქნა Zoom ფასიანი სერვისი(6 user).
პსდ-ს აქვს ისგ-ს შემუშავების და მისი განხორციელების პრაქტიკა. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა ისგ-ის შემუშავების დოკუმენტაცია, რომელიც „ფარმაცია სააფთიაქო“-ს პროფესიული სტუდენტებისთვის შემუშავდა.
სტუდენტთა მომსახურებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს კოლეჯის სხვა სტრუქტურული ერთეულების ინფორმირებას და ჩართულობას. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ დამატებითი კონსულტაცია, ინფორმაცია საგანმანათლებლო სერვისებთან და პროგრამასთან დაკავშირებით, როგორც ადმინისტრაციისგან , ისე პროფესიული განათლების მასწავლებლისგან.
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში მოქმედებს პროგრამების ადმინისტრირების პირობები პროცესში პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის გათვალისწინებით, კერძოდ, პროფესიულ სტუდენტებთან სასწავლო პროცესის დაწყებამდე ხორციელდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, რა დროსაც მათ მიეწოდებათ ყველა ინფორმაცია პროგრამის, მათი უფლებებისა და ვალდებულებების, შესაძლებლობების, პროგრამის განხორციელების თავისებურებებისა და სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურებისა და მიღებული შეფასების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფსა და სხვა საკითხების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების, კვალიფიკაციის, კრედიტის, ხანგრძლივობის ცვლილების შემთხვევაში, კოლეჯი მოიპოვებს შესაბამისი პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა თანხმობას.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯში დარეგულირებულია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, ამ მიზნებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.
პსდ უზრუნველყოფს სასწავლო_პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესში მოდულებში გამოყენებულია ელრესურსები და სწავლების ინტერაქციული მეთოდები: ინეტრაქციული ლექცია, დემონსტრირება, პრეზენტაცია, გონებრივი იერიში, ფოტო-ვიდეო მასალების ჩვენება-განხილვა, ჯგუფური სამუშაო, პრაქტიკული შემთხვევების და კრიტიკული შემთხვევების განხილვა, როლური თამაში, პრაქტიკული დავალება და სხვ. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის შერჩეულია დარგის ლიდერი კომპანია, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ტექნოლოგიებით. პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართულები არიან პროფესიული განათლების სისტემაში განხორციელებულ პროექტებში (საგანმანათლებლო პროგრამის განხილვა/ცვლილებების ინიცირება, უნიფიცირებული შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება).

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4. პსდ-ს რეგულაციებით შემუშავებულია მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნეს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში (32-ე მუხლი ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია 51-ე მუხლი.სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსმ) და შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვის წესი) გაწერილია როგორც შშმ, ისე სსსმ პროფესიულ სტუდნეტების უზრუნველყოფა სხვადასხვა სერვისებით, როგორცაა მობილობის/სტატისის აღდგენის შემთხვევაში ისგ-ს შემუშავების შეთავაზებით, ასევე დეტალურად აქვს იდენტიფიცირებული შშმ პირების არსებობების შემთხვევაში, მათ იდივიდუალურ საჭიროებების გათვალისწინებით სწავლის შედგების მიღწევის შესაძლებლობები ამ მიზნით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტების მიერ, ვიზიტის დროს, შესწავლილი იქნა მობილობის, სტატუსის აღდგენის ამსახველი მეთოდოლოგია და ამ გარემოებიდან გამომდინარე შემუშავებული ისგ-ს ნიმუში. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება პროფესიული სტუდენტების მოთხოვნებზე/საჭიროებებზე პსდ-ს ადმინისტრაციის ორიენტირება.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. *პსდ-ს თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან.* პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „პსპ ფარმასთან“ ხელშეკრულებით დარეგულირებულია: ხელშეკრულების საგნის შესახებ ინფორმაცია, მომსახურების პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები და ვალდებულებები, მოდულების (8 პროფესიული მოდული) და სწავლის შედეგების დასახელება, საათობრივი დატვირთვა, რომელიც განხორციელდება ბაზაზე, თანამშრომლობის ვადა, ორგანიზების საკითხები, კომპანიის გამტარუნარიანობა (სულ 60 პროფესიული სტუდენტის მიღება), მატერიალურ - ტექნიკურ ბაზის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება დაწესებულება უზრუნველყოფს სწავლების განხორციელებას შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების დაცვით დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, რომლებიც გატანილია მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად პრაქტიკის ბაზაზე. ხელშეკრულებაში გაწერილია კოლეჯსა და პარტნიორს შორის კოორდინაციის საკითხები. ხელშეკრულება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტიორი ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელმაც დაადასტურა, რომ იცნობსნ ხელშეკრულებით და მოდულით გათვალისწინებული მოთხოვნებს.

***პსდ-ს* თანამშრომლობა, პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან, დასტურდება როგორც ხელშეკრულებით/შეთანხმებებით, ისე ფაქტობრივი გარემოებით.**

7. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რასაც უზრუნველყოფს შესაბამისი კავლიფიკაციის პირებისა და სამსახურების არსებობა. კოლეჯში ფუქციონირებს პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახური (1 პერსონალი) და შრომის უსაფრთოების სამსახური (2 პირი). შრომის უსაფრთოების სამსახურის მიერ, სრულ სამუშაო/სასწავლო სივრცეში შეფასებულია რისკები და შემუშავებულია პრევენციული ღონისძებები, ხორციელდება რისკების გეგმისა და სასწავლო/სამუშაო გარემოს სისტემატური მონიტორინგი. გარემოს ვიზულური დათვალიერებითა და შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პსდ-ში დაცულია სასწავლო/სამუშაო პროცესი განხორციელებისას რეგულაციები. პსდ-ს შემუშავებული აქვს ასევე „ფარმაცია სააფთიაქოსთვის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“.

   დაწესებულებაში AC გარემოში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (დამუხტული ცეცხლმაქრები), გამოკრულია უსაფრთხოების წესები ქიმიურ ლაბორატორიაში, ქიმიურ ნივთიერებებთან უსაფრთხოდ მუშაობის წესები, უბედური შემთხვევეის დროს მოქმედების წესები. პროგრამის დარგობრივ კაბინეტებში განთავსებულია გამწოვი კარადა. დაწესებულება სისტემატიურად ახდენს უსაფრთხოების საშუალებათა/პირადი დაცვის საშუალებათა შეძენას, რაც დასტურდება შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

   მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად დაწესებულება ახორციელებეს ქიმიური და ფარმაცევტული ნარჩენების შეგროვებას.

   პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება BTA 150324 („ნარჩენების გადამუშავება-უტილიზაციის შესახებ“) შპს „სანიტართან“ (01.07.2021 15 მარტი 2024 წ.. რუსთავი), რომელიც უზრუნველყოფს - სამედიცინო არასახიფათო და სახიფათო (გარდა რადიაციული) ნარჩენების გაუვნებელყოფის სამუშაოებს (სპეციალურ კონტეინერებში განთავსება, სპეც. მანქანით ტრანსპორტირება საბოლოო დანიშნულებამდე).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო მიზნებისათვის ორგანიზებულ პროცესში ნარჩენების მართვა ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით. სხვა შემთხვევაში ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოსა და გარშემო მყოფ პირებს. ნარჩენების მართვა გაწერილია **დანართი N3-ში**
„სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ქიმიური ლაბორატორიული ნარჩენების მართვა“
პსდ-ს შემუშავებული აქვს „ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის წესები“ (დანართი N1) და **„პირველადი დახმარება ქიმიურ ლაბორატორიაში“ (დანართიN2).**

, რომელიც მოცავს: ქიმიურ ლაბორატორიასა და ქიმიურ ნივთიერებებთან უსაფრთხოდ მუშაობის წესებს და უბედური შემთხვევების დროს რეაგირების/პირველადი დახმარების, ქიმიური/ფარმაცევტული ნარჩენების მართვის წესებს. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ასევე ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვას.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება:

1. „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის წესების დამტკიცების შესახებ.“ (რექტორის ბრძანება N2/51. ქ. თბილისი. 30.04.2024წ).
2. ხელშეკრულება BTA 150324 („ნარჩენების გადამუშავება-უტილიზაციის შესახებ“) შპს „სანიტართან“ (01.07.2021 15 მარტი 2024 წ.. რუსთავი)
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დანართებითურთ;
4. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“
   დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით
5. მემორანდუმი პრაქტიკის ობიექტთან - შპს „პსპ ფარმა“ N2024/01 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესახებ“; 10 მაისი 2024 წ.
6. შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის“ რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის წესებით“;
7. შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის“ რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პირველადი დახმარება ქიმიურ ლაბორატორიაში“ (დანართიN2).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

8. უსაფრთხოების საშუალებათა/პერსონალური დაცვის საშუალებათა უზრუნველყოფის (შესყიდვის) დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
9. შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია“ რექტორის ბრძანება შპს „საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმების დამტკიცების შესახებ;“

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ, შემოწმებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული ინსტრუმენტები, მიზნით რამდენად არის პსდ-ს შეფასების სისტემა/ინსტრუმენტები ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. წარმოდგენილ ინსტრუმენტები დარგის ექსპერტის შეფასებით იძლევა შესაფასებელი კომპონენტის შეფასების შესაძლებლობას, ასევე ინსტრუმენტები მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას შეფასების პირობებსა და მოთხოვნებზე, შეფასების მტკიცებულებები რელევანტურია, ვერიფიკაციის დასკვნით არაა გამოვლენილი არაობიექტური შეფასების ფაქტი.

კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება არის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიდგომა, როცა შეფასების პროცესი მთლიანად ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე.

შეფასების სისტემა უნდა იყოს ვალიდური,სანდო, ობიექტური, სამართლიანი, გამჭვირვალე;

შეფასებისას გამოიყენება არადიფერენცირებული მიდგომა, რაც გულისხმობს სწავლის შედეგის სრულად დადასტურებას და ფასდება შემდეგნაირად: „სწავლის შედეგები დადასტურდა“ ან „სწავლის შედეგ არ დადასტურდა“.

განმავითარებელი შეფასება ახდენს პროფესიული პროფესიულ სტუდენტის მოტივაციას და უზრუნველყოფს მაღალ ჩართულობას შემდგომ საგანმანათლებლო პროცესში. პროფესიულმა პროფესიულ სტუდენტი გამოსცდის საკუთარ კომპეტენციას, როგორც თეორიული ცოდნას, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევებს. განმავითარებელი შეფასება ერთგვარი პროგრამის განხორციელების შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინსტრუმენტია და ეხმარება როგორც პროფესიულ პროფესიულ სტუდენტს, ისე პროგრამის განმახორციელებელ პირს, უწყვეტი გადასინჯვის, შეფასებისა და გაუმჯობესებისათვის საჭირო ბაზას შექმნის.

განმავითარებელი შეფასების დროს მიღებული შედეგი მხოლოდ განმავითარებელი ხასიათისაა და არ აისახება საბოლოო შეფასების შედეგზე.

განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს ზოგადად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის შეფასებასაც. პროფესიული პროფესიულ სტუდენტები მოახდენენ საკუთარი თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების ხარისხის მონიტორინგს, ხოლო პროგრამის განმახორციელებელი პირები მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით მიიღებენ ჩატარებული საქმიანობის უკუკავშირს, რათა მომავალში გაითვალისწინონ და გააუმჯობესონ სწავლების მიდგომები. ასევე, განმავითარებელი შეფასების პროცესი იქნება ერთგვარი მომზადება განმსაზღვრელი შეფასებისათვის.

განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად. განმსაზღველი შეფასებისას გამოიყენება არადიფერენცირებული შეფასების მიდგომა და თავისი არსით კონკრეტული სწავლის შედეგის ან სწავლის შედეგების საბოლოო შეფასებაა.

განმსაზღვრელი შეფასების პროცესი დასტურდება შესაბამისი შეფასების ფურცლ(ებ)ით და მტკიცებულებ(ებ)ით.

შეფასების სისტემა უზრუნველყოფის პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას, სწავლის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს მაქსიმუმ 2-ჯერ აქვს გასვლის უფლება პროგრამის დასრულებამდე, გარდა იმ შემთვევაში თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას. ასევ შემთხვევაში ვადები განისაზღვრება 10 კალენდარული დღით. განმეორებითი შეფასების დაადსტურების შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს პროგრამის ბოლოს დაგეგმილი მოდულებისთვის, ასეთ შემთხვევაში პირს უფლება აქვს დამატებით გამოცდაზე გავიდეს, პროგრამის დასრულებიდან 2 კვირის განმავლობაში.

რეგულაციით განსაზღვრულია, რომ განმეორებითი შეფასებისთვის გამოყენებულია სხვა შეფასების ინსტრუმენტი. შეფასების პროცესის შესახებ პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ევალება მოდულის განმახორციელებელ პირს. წესის თანახმად შეფასების შედეგების ადმინისტრაციისთვის მიწოდება ხდება ერთ სამუშაო დღეში. პროფესიული განათლების მასწავლებელი/მოდულის განმახორციელებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს სეფასების მტკიცებულებების განთავსება სტუდენტთა პორტფოლიოში, რასაც შემდეგ გადასცემს ადმინსიტრაციას.

პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი მუხლი 35. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების სისტემა რომელშიც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციისა პროცესების შესახებ:

მუხლი 38. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიმართულებებია განსაზღვრული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების მიმართულებებია: პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, პრაქტიკული დავალება და გამოკითხვა. აღნიშნულთაგან, პირველი ორი პრაქტიკული უნარების შეფასებისათვის გამოიყენება, მაშინ, როდესაც გამოკითხვა უფრო თეორიული - კოგნიტური ცოდნის შესაფასებლადაა რელევანტური. თუმცა, პრაქტიკული უნარების შეფასებისას შესაძლებელია ინტეგრირებულად განხორციელდეს გარკვეული თეორიული ცოდნის შეფასებაც, რადგანაც პრაქტიკული უნარები ცოდნას ეფუძნება, თუმცა, იშვიათად იძლევა ცოდნის ფართო სპექტრის შეფასების შესაძლებლობას.

პრაქტიკული დავალება დაკვირვებით-შემფასებელი აკვირდება შესაფასებელი პირის მუშაობას პრაქტიკული დავალების შესრულების პროცესში. პროცესზე.

მუხლი 39. შეფასების ინსტრუმენტი, შემუშავება და ვალიდაცია

შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება გულისხმობს ორ ეტაპს:

შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება ვალიდაცია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტ(ებ)ი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელი/მასწავლებლები შეფასების მიმართულების მიხედვით არჩევს შესაბამის შეფასების ინსტრუმენტს.

შეფასების ინსტრუმენტები მუდმივად განახლებადი უნდა იყოს, და პასუხობდეს დარგის განვითარების/შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

მნიშვნელოვანია და გაწერილია **(მუხლი 39)** შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია, რაც უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტებისადმი ფუნდამენტური მოთხოვნების (ვალიდურობის, რელევანტურობის და საკმარისობის)დაცვას.

ვალიდაცია საჭიროა, როდესაც ხდება ახალი შეფასების ინსტრუმენტების შექმნა ან არსებულ შეფასების ინსტრუმენტში ცვლილებების შეტანა.

ხარვეზების შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი 2 დღის ვადაში რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული სახით;

პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შექმნის შეფასების ინსტრუმენტს (ტექნიკურ ნაწილში) ითანხმებს/ვალიდაციას ახორციელებს სასწავლო პროცესის სპეციალისტი, რომელიც უფლებამოსილია ამ პროცესში ჩართოს დარგის სპეციალისტი, ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით;

შეფასების პროცესამდე მინიმუმ 7 სამუშაო დღით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის სპეციალისტს, უგზავნის/წარუდგენს შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტის პროექტს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის სპეციალისტი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის შემოწმებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შინაარსობრივი ნაწილის შემოწმებას ახორციელებს დარგის სპეციალისტი.

პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები ინახება დადასტურების კომისიის ოქმის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც მონაცემები არქივდება და ინახება 5 წლის განმავლობაში.

სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული ყველა კომპლექსური დავალება შეფასებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ და მათგან მინიმუმ ერთი შეფასებულია მიმართებით ან აბსტრაქტულ დონეზე;

დადასტურების კომისიის მიერ გაკეთებული არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება.

დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს. პროფესიულ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია პერსონალური მონაცემები. დაუშვებელია ჯგუფში კონკრეტული პროფესიულ სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების გასაჯაროვება,

პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომებს, შეფასების მტკიცებულებებზე დაყრდნობით მოდულის განმახორციელებელი აფასებს პროფესიულ სტუდენტს შეფასების პროცესის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი დღისა და შეფასების შედეგებს ასახავს უწყისში, რომელსაც ამ ვადაში აბარებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის თანამშრომლებს.

შეფასების უწყისები აღირიცხება ელექტრონულ ჟურნალში, უწყისები პროფესიული პროფესიულ სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება რექტორის მოადგილესთან სასწავლო დარგში/ რექტორის მოადგილესთან(საჩხერის განყოფილება)/სასწავლო პროცესის სპეციალისტთან შესაბამის საქაღალდეში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ უწყისების აღრიცხვის ფურცელთან(მატერიალური ფორმა) ერთად გადაეცემა კანცელარიას და ინახება უვადოდ.

ანმეორებით შეფასებაზე დაშვება ითვალისწინებს პროფესიული პროფესიულ სტუდენტის მხრიდან შეფასების საფასურის გადახდას, რაც განისაზღვრება კოლეჯის რექტორის გადაწყვეტილებით/ხელშეკრულებით;

განმეორებით გამოცდაზე დაშვების მიზნით პროფესიული სტუდენტი მიმართავს სასწავლო პროცესის სპეციალისტს და წარუდგენს მას განმეორებითი შეფასების საფასურის გადახდის დოკუმენტს.

განმეორებითი შეფასება ინიშნება ორჯერ, ძირითადი შეფასების ჩატარებიდან არაუგვიანეს 2 თვისა და პროგრმის დასრულებამდე არაუგვიანეს 1 თვის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, განმეორებითი შეფასებები დაინიშნება წინაპირობიანი მოდულის დაწყებამდე.

განმეორებით შეფასებაზე გასვლის უფლება პირს ეძლევა ორჯერ, სასწავლო პროცესის სპეციალისტის მიერ დანიშნულ თარიღში/თარიღებში. განმეორებითი შეფასების თარიღი პროფესიულ სტუდენტ(ებ)ს ეცნობება შეფასების თარიღამდე მინიმუმ ორი სამუშაო დღით ადრე. ორჯერ უარყოფითი შედეგების მიღების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ხელმეორედ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაიაროს მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგ(ებ)ი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა შეიქმნას პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
პსდ-ს შეფასების სისტემა გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება-ვალიდაციის პროცესში.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
<u>პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს,</u> რომელიც განხორციელდება დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის' 47-ე მუხლის მიერ შიდა ვერიფიკაციის პროცესის გათვალისწინებით.ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებისთვის, პსდ-ს შესაბამისი ადამანური რესუსისა და ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული სეფასების სისტემის სტანდარტთან დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. მასზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. რექტორის ბრძანებით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც შეიძლება ასევე შედიოდეს მოწვეული პირები (დარგის წარმომადგენლები/ექსპერტები).

ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ვერიფიკაციის პროცესის აღიარებულ პრინციპებს. ვერიფიკაციისას გამოყენებულია რისკ-ფაქტორების გამოვლენა რომელიც აფასებს შემდეგ გარემოებებს: „დამწყები" და „სანდო" პროფესიული მასწავლებლების/პრაქტიკის ხელმძღვანელების შეფასებას, ასევე შემთხვევები, როდესაც შეფასებისას გამოყენებულია ბევრი პრაქტიკული დავალება ან ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად რამდენიმე სწავლის შედეგი ფასდება. ვერიფიკაციის პროცესისათვის ჯგუფი იყენებს ვერიფიკაციის კითხვარებს, რომელის სამუშაო ვერსიას ადგენს ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახური, აღნიშნული წარედგინება ჯგუფს პირველ შეხვედრაზე, ხდება საბოლოო ვერსიის შეჯერება. ყველა ვერიფიკატორი იყენებს კითხვარების შეჯერებულ ვერსიას.
შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების მტკიცებულების/ შეფასების პროცესის ვერიფიკაციას ახორციელებს დარგის სპეციალისტი/სპეციალისტები/ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური/განათლების ექსპერტი;
ვერიფიკატორი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულის და შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენას. შეფასების ინსტრუმენტი უნდა იყო ვალიდური, რელევანტური, ტექნიკური თვალსაზრისით გამართულად, გასაგები ენით დაწერილი და უზრუნველყოფდეს მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურებას.

ვერიფიკატორმა/ვერიფიკაციის ჯგუფმა განსაზღვრულ ვადაში უნდა შეისწავლოს წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები/მტკიცებულებები/შეფასების პროცესის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები, საჭიროების შემთხვევაში ვერიფიკაციის ჯგუფს უფლება აქვს მოითხოვოს შეხვედრა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან, ან შეფასების პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონაწილე მხარესთან/მხარეებთან კონკრეტული საკითხის დაზუსტების მიზნით. მნიშვნელოვანია, რომ ვერიფიკაციის ყველა წევრს მონაწილეობის ერთნაირი შესაძლებლობა მიეცეს;

ვერიფიკაციის შედეგები ეგზავნება როგორც პროფესიულ მასწავლებლებს, ასევე სასწავლო პროცესის სამსახურის თანამშრომლებს. შესაძლებელია ვერიფიკაციის პრეზენტაცია განხორციელდეს ღია შეხვედრაზე;
დაწესებულებამ ვერიფიკაციის ანგარიშის განხილვის საფუძველზე შესაძლოა შეიმუშაოს კონკრეტული მიზნის/მიზნების მისაღწევად სამოქმედო გეგმა, რომელშიც სრულყოფილად უნდა ასახოს ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორცილებასაც აპირებს ვერიფიკაციის ანგარიშში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად;

ვერიფიკაციის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შესაძლოა მოხდეს ვერიფიკაციის წესის მოდიფიკაცია, რაც დამტკიცდება რექტორის ბრძანებით.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
პსდ-ში დადგენილი რეგულაციის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომები ინახება, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის მიერ, მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მუხლი 44). შენახვის ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნათა შესაბამისად. რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისებს, ინახება ინსტრუმენტები, უწყისები უნდა იქნას იდენტიფიცირებული და აღირიცხული სპეციალურ რეესტრებში. პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები ინახება დადასტურების კომისიის ოქმის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც მონაცემები არქივდება და ინახება 5 წლის განმავლობაში.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.
პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. პსდ-ს შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება სისტემატურად და შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. შეფასების შედეგების მიწოდება ხდება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფში, პროფესიული სტუდენტის თანხმობით, ხოლო წერილობითი ან/და ონლაინ შეფასებისას უკუკავშირი ხორციელდება დამატებით პირად ელფოსტაზე შეტყობინებით. შეფასების შემდეგ, მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგებს. მიღებული შედეგების მიხედვით სტუდენტებს მიეცემათ უკუკავშირი და რეკომენდაციები. უკუკავშირის მიზნით, მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ აქტიურად გამოიყენებენ ონლაინ კონსულტაციებს.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ელექტრონული პლატფორმა

პროფესიულ სტუდენტთა თეორიული კომპონენტის შეფასებისათის აკადემიას შესყიდული აქვს და იყენებს ელექტრონულ პლატფორმას https://www.bta.edu.ge/ge/posts/details/23/sagamotsdo-sivrtse

საგამოცდო სირვცეში ავტორიზაციისთვის დაყენებულია მრავალდონიანი დაცვის სიტემა; მკაცრად კონტროლდება პროფესიულ სტუდენტთა აიპი მისამართები;

პროგრამა იძლევა საშუალებას სწავლის შედეგის დადასტურების, პროფესიული სტუდენტისათვის საკუთარი შედეგის კონფიდენციალურობის დაცვით გაცნობის, ასევე გამჭირვალობის და სამართლიანობის დაცვის საშუალებას.

შეფასების დაწყების წინ სისტემაში გამოდის შეფასების პროცესისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია(პირობები,დრო,აპელაციის პროცედურა და სხვ);

პროგრამა „შემთხვევითი შერჩევითი პრინციპის“ დაცვით ალაგებს საკითხებს (ყველა პროფესიულ სტუდენტს მისდის განსხვავებული ნუმერაციით შეკითხვა) და ცვლის დისტრაქტორების თანმიმდევრობას;

თუ პროფესიული სტუდენტი ვერ დაასრულებს გამოცდას თუ რომელიმე კითხვა დარჩა პასუხგაუცემელი, შეუძლია დაუბრუნდეს მას და დაასრულოს ნაშრომი; დასრულების შედგომ მას ეკრანზე გამოსდის შეტყობინება დაადასტურა თუ არა აღნიშნული მოდული/სწავლის შედეგი და სწორი პასუხების რამდენი პროცენტი დააგროვა , ასევე აჩვენებს მის მიერ დაშვებულ შეცდომებს

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ‘სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“
2. აკადემიის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ვერიფიკაციის მექანიზმები;
3. პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. მუხლი 5.“

4. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია 2024წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7.ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, დაწესებულების პარტნიორებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი:
2024 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: